ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N23/ს

ქ. მცხეთა 24 ივლისი 2015 წელი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბათო+" , წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ჩილინდრიშვილის სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. ძველ ქანდაში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, თანხით- 108 ლარი.

1.2 სოფ. წეროვანში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით-334 ლარი.

1.3 სოფ. წეროვანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, თანხით-92 ლარი.

1.4 სოფ. წეროვანში საქონლის დასაწყურებელი ნავების მოწყობის სამუშაოები, თანხით 46 ლარი.

1.5 სოფ. ჩარდახში საქონლის დასაწყურებელი ნავების მოწყობის სამუშაოები, თანხით 38 ლარი.

1.6 სოფ. გოროვანში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები-თანხით 110 ლარი.

1.7 სოფ. ძველ ქანდაში მინიფეხბურთის სტადიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით 417 ლარი.

1.8 სოფ. ძველ ქანდაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით 94 ლარი.

1.9 სოფ. წილკანში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში სარიტუალო დარბაზის აშენების (ახალი) სამუშაოები- თანხით 3483 ლარი.

1.10 სოფ. ნავაზში სოფლის ცენტრში წყაროსთან სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები და კლუბის ეზოში სპორტული სავარჯიშოების მოწყობა, თანხით 175 ლარი.

1.11 სოფ. ბურიანში გაბიონის მოწყობა თეძამის ხეობაში მოქ. ანზორ კაპანაძის სახლთან, თანხით -78 ლარი.

1.12 სოფ. ლელუბანში წყალგაყვანილობის მილების რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით 87 ლარი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.(CPV71200000)

2.მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 5062 (ხუთიათასსამოცდაორი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური. უფროსი რევაზ ელოშვილი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. რეკვიზიტები

შემსყიდველი
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ TRESGE22
ა/N GE24NB0330100200165022
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე

მიმწოდებელი
შპს „ბათო+"
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №24ბ

ს/კოდი:436032776
სს „საქართველოს ბანკის"
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE81BG0000000497093700
დირექტორი
ტ. ხილინდრიშვილი
ტელ: 579 94 11 82